ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №7297165

ნომერი: AR11066030

თარიღი : 12.11.2024

გაცემის თარიღი : 22.11.2024

გაცნობის თარიღი : 22.11.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბააზოვი (ყოფილი შუშინის ქუჩა), N 19 , შუშინის ქუჩა N19-ის მიმდებარე ტერიტორია, მირზა შაფის ქუჩა N12ა ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მირზა შაფი , N 12ა-ს მიმდ. ; ქალაქი თბილისი , მირზა- შაფის ქუჩა ; ქალაქი თბილისი , გერცელ ბააზოვის ქუჩა, N13-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა შუშინის , N 11-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჟუჟუნაშვილი პ/ნ 01030002628
- თბილისი დ.აღმაშენებლის გამზ. N 88

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 05 დეკემბრის №1016387 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიისსსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 05 დეკემბრის №1016387

გადაწყვეტილებით სასტუმრო აპარტამენტების აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.
2015 წლის 09 თებერვლის № 1722678 ბრძანებით შევიდა ცვლილება №1016387 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითა - 1628 მ2, საკადასტრო კოდი დაფიქსირდა- #01.18.04.018.066;
2023 წლის 29 დეკემბრის № 6826965 ბრძანებით შევიდა ცვლილება №1016387 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, მიწის ნაკვეთის ნამატი ფართის პოტენციალის გამოყენების გარეშე. კერძოდ: დაფიქსირდა ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი 01.18.04.018.094; ფართობი 3157 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი №892023191384; რეგისტრაციის თარიღი: 01/11/2023წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი N892023191384; რეგისტრაციის თარიღი 03/11/2023წ.);
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 12 ნოემბრის №AR11066030 განცხადებით მომართა გიორგი ჟუჟუნაშვილი და მოითხოვა სამსახურის 2013 წლის 05 დეკემბრის №1016387 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ ჩანაწერი: „მიწის ნაკვეთის ნამატი ფართის პოტენციალის გამოყენების გარეშე“ გაუქმება.
სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შევიდეს ცვლილება სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის №6826965 ბრძანებაში, კერძოდ, პირობა „ნამატი მიწის ნაკვეთის გამოყენების გარეშე“ ჩანაცვლდეს ნამატი მიწის ნაკვეთის სამშენებლო პოტენციალის ნაწილობრივ გამოყენების პირობით.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

## ვბრძანებ

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის №6826965 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 05 დეკემბრის №1016387 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაფიქსირდეს ახალი საკადასტრო კოდი 01.18.04.018.094; ფართობი 3157 კვ.მ, საკადასტრო გეგმა (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი №892023191384; მომზადების თარიღი 01/11/2023წ) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი N892023191384; მომზადების თარიღი 03/11/2023წ.), ნამატი მიწის ნაკვეთის სამშენებლო პოტენციალის ნაწილობრივ გამოყენების, კერძოდ: წინამდებარე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ფარგლებში სამშენებლოდ განვითარებისთვის მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტის (კ-1) ასათვისებელი ფართის არაუმეტეს 1165.00 კვ.მ.-ის, ხოლო განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ასათვისებელი ფართის არაუმეტეს 3470.00 კვ.მ.-ის გამოყენების პირობით“;
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის №6826965 ბრძანებასა და ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 05 დეკემბრის №1016387 გადაწყვეტილებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

---

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.